13 ოკტომბერს ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. 1884 წელსა.

მწყემსი

№ 19.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწყემსი“ რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Мцкеми“ (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში. რედაქტორის საკუთარს სახლში.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

ᲣᲞᲘᲠᲝᲑᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ, ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნონ.

ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ, ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔᲓ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: კიდევ ქადაგებითი სიტყვაზე, დასასრული.—ᲣᲝᲗᲣᲥᲪᲕᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲠᲣᲚᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ.—ᲡᲛᲐ ᲡᲐᲢᲣᲡᲐᲚᲝᲓᲐᲛ.—ᲡᲐᲡᲐᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲬᲣᲡᲐᲠᲝ ᲤᲐᲡᲣᲢᲘ.—ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲐᲓᲐᲛ.—ᲚᲔᲩᲘᲣᲛᲘᲡᲐᲓᲐᲛ.—ᲓᲔᲓᲝᲑᲐ ᲒᲣᲠᲘᲡ-ᲫᲣᲠᲨᲘ.—ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ. ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲡᲕᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ XII.—ᲓᲐᲡᲐᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ.—ᲧᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲗᲐ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ.—ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲐᲨᲕᲜᲔᲑᲘ.—ᲛᲙᲕᲓᲐᲠ ᲪᲮᲝᲚᲡᲐᲚᲝ. (ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ ᲒᲠᲐᲗᲘᲝ Ო. ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘᲡᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲓᲐᲜ), ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ.—ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲜᲘ.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲖᲔᲓ *).

(ᲑᲐᲢ. ᲔᲠᲘᲡ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘᲡ ᲠᲐᲣᲓᲔᲜ ᲒᲘᲒᲐᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲔᲛᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, „ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘ“ №№ 14, 15, ᲓᲐ 16).

(დასასრული)

ᲬᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲑᲘᲒᲐᲣᲠᲝᲕᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘᲡᲐᲘᲗ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲡ: „ᲐᲑᲐ ᲓᲐᲔᲜᲘᲨᲜᲝᲡ ᲛᲝᲠᲬᲣᲚᲡ ᲗᲣ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘ ᲐᲠᲐ, ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲘᲡᲐ ᲛᲔᲠᲬᲚᲘᲡ“... ᲛᲐᲨᲘᲜ ᲜᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘ ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲛᲝᲘᲤᲘᲜᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲚᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲦᲠᲗᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲬᲝᲥᲔᲑᲐᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲪ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲯᲔᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲜᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘ ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲛᲠᲐᲕᲔᲚᲝᲜ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲣᲜᲘᲨᲜᲝᲜ ᲛᲐᲗ ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘ. ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲪ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲘᲠᲘᲐ. ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲗᲣ ᲠᲘᲒᲘᲐᲜ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲗ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲛᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲡ ᲘᲒᲘ... ᲘᲧᲝᲜᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲛᲐ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲛᲐ ᲛᲘᲘᲖᲘᲓᲝᲡ ᲜᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲞᲘᲠᲜᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲗᲣ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲐᲓ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲜ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲜᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ, ᲐᲖᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐᲐ, ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗᲘᲓᲐᲛ ᲩᲐᲜᲡ. ᲓᲮᲚᲐᲪ ᲙᲘ ᲛᲝᲘᲠᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲑᲔᲑᲨᲘᲐ ᲠᲛᲐᲓ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲘᲛᲝ ᲛᲝᲗᲐᲙᲘᲚᲝᲑᲡ ᲙᲐᲠᲖᲘᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲚᲔᲚᲐᲡ!.. ᲓᲘᲐᲮ, ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲠᲩᲘᲚᲐᲓ ᲣᲓᲔᲕᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐᲓᲛᲘ,—ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲜᲓᲔᲑᲐ ᲢᲧᲣᲑᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲔᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲐ.

ᲜᲐᲙᲛᲐᲠ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲒᲕᲫᲔᲜᲡ ᲙᲐᲠᲒᲡ ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲡᲫᲚᲝᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲮᲔᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲡ. ᲓᲐ ᲗᲣ ᲔᲮᲚᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲪᲘᲐᲜ ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲐᲓ, ᲐᲛᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲡᲮᲕᲐᲐ, ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲝᲑᲠ ᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲣᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲐᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲗ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲐᲗ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲘᲡᲐᲪ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ. ᲛᲘᲡᲐᲪ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲣᲚᲚᲘᲡ ᲨᲔᲗᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲛ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲣᲐᲚᲠᲔᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲒ-

*) ᲘᲮᲘᲚᲔ „ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘ“ № 18.

ბა, იგი თავს შესწირავს მის გავრცელებას, ქადაგებას და არ მოჰყვება ოხვრას და კვნესას ჯამაგირის დანიშნაზედ... ყველგან სიღარიბეს შეეტაკებიან, მაგრამ ეს სიღარიბე კი არ არის პირველი და უკანასკნელი მიზეზი მოვალეობის აუსრულებლობისა. მოვალეობა, როგორც მოგეხსენებათ, ზნეობრივი ცნებაა და ზნეობრივ მიზეზზედ აღმოცენილი. და თუ სემინარიის სტუდენტი თავიდამ იცილებს მოვალეობას, უჯამაგირობის გამო არ მიდის მოძღვრად, ეს პირ-და-პირი შედეგია სულ სხვა მიზეზთა... მარტო ჯამაგირის დაწესება საქმეს ვერ უშველის, ამბროსი ნეკრესელებს ვერ დაჰბადავს საქართველოში... არც ძველს საქართველოში ჰქონდა ჯამაგირი მღვდლობას, მაგრამ თავის მოვალეობას კი გულმხურვალედ ასრულებდა. ამ მღვდლობამ დაიცვა ქრისტიანობა მძვინვარე მტრებისაგან.

ზოგიერთ მღვდლებს და მათ შორის დეკანოზს ბიგაუროვსაც წარმოუდგენია, რომ აწინდელი არასანატრელი ურთი-ერთობა, დამოკიდებულობა მოძღვრის და მრევლის შორის წარმოდგება იქიდამ, რომ მღვდლობას ჯამაგირი არა აქვს და დრამით სცხოვრობს. აბა დაწესდეს ჯამაგირიო, თუ რა ძმობა და ერთობა დამყარდებაო,—ამბობენ ზოგიერთები: ,,თუმცა სურვილი მაქვს მღვდლობისა, მაგრამ ვერ გავბედავ წავიდე მღვდლად; მათხოვრად არ გავიხდი თავს; სვინიდისს ვერ დავესჯევინები და მრევლის საწყევლ-სალანძღავად არ გავხდებიო...“ მაგრამ მკითხველიც ჰხედავს, რომ ამ სიტყვებში ჭეშმარიტება არ მოიპოვება... ძველს საქართველოშიც მღვდლობა დრამით სცხოვრობდა, მაგრამ უკმაყოფილებას ადგილი არა ჰქონდა იმიტომ, რომ მღვდელი მარტო ფორმალურს თანამდებობას არ ემსახურებოდა; პირ-და-პირი თანამდებობის გარდა, მღვდელი ჭეშმარიტი მამულის-შვილი იყო, ნამდვილი მამა თავის სამწყსოსი. კიდეც ამიტომ გლეხობას სასულიერო წოდება მიაჩნდა მცველად, მფარველად და გაჭირვების დროს ეხიზნებოდა მას. შუღლის, კამათობის მოსასპობლად საჭიროა მარტო ჯამაგირის დაწესება კი არა, ჩვენი გონებით და ზნეობით ამაღლება და დაარსება ძველებურის ,,მამობისა“. ყოველივე ეს მოხერხდება რიგიანი სწავლა-აღზდის შემწეობით. ამაზე უნდა იყვეს მიქცეული უმთავრესი ყურადღება ჩვენის სასულიერო წოდებისა.

რასაკვირველია, სასულიერო წოდებას სრული უფლება აქვს ითხოვოს ჯამაგირის დაწესება, თავისი ეკონომიურის მდგომარეობის გაუმჯობესობა. არც ჩვენ ვართ ამის წინააღმდეგი. ჩვენ მხოლოდ იმას ვამტკიცებთ, რომ მარტო ეს ჯამაგირი არ დაჰბადავს ქადაგებითი სიტყვას, არ მოსპობს სამწუხარო ურთი-ერთობას...

ყოფა-ქცევა კრებულთა რჯულის კანონით.

(გაგრძელება).

მაგრამ ყოველივე ქვეყნიური საქმე არ ჰქონდა კრებულს აღკრძალული. ნების დართვა ანუ დაურთველობა იყო დამოკიდებული იმ მიზეზზე, რომელიც შეადგენდა იმის საფუძველს. მაგალითად—იჯარა, ვაჭრობა, ვექილობა, მზრუნველობა და სხ. კრებულს შეეძლო თავის-თავზე მიეღო იმ შემთხვევაში, როდესაც მასს ანგარება და სარგებლობა არ ჰქონდა სახეში.

თუმც 86 ნოველლაში ვკითხულობთ: არც ეპისკოპოსმა, არც მღვდელმა არ უნდა მოჰკიდოს ხელი ვექილობას, ვაჭრობას, თავდებობას და რომელიც ამ საქმეში გაერევა, ეკკლესიისაგან განტევებულ იყოს; მაგრამ თვით ეკკლესია და სახელმწიფო კანონები ნებას რთავდენ კრებულს ადგილ-მამულის იჯარით აღებისას და ვაჭრობას, თუმც მიზნათ ჰქონდათ ლუკმა პურის შოვნა და გაჭირვებულთა შემწეობა. დიდი იუსტინიანეს კანონიც ნებას აძლევს კრებულს ეგეთი საქმეების წარმოებისას თავის ეპარხიაში (**Кормч.** ნაწ. **II, 35**). ილლიბერტიის კრებამ ნება მისცა უმაღლეს კრებულის პირებს ვაჭრობისა არა მხოლოდ თავის ეპარხიაში, არამედ შორ ქვეყნებშიაც სარწმუნო პირების საშვალობით. უმაღლესი მთავრობა არათუ უკრძალავდა კრებულს ვაჭრობას, არამედ ხელს უწყობდა და აძლევდა მასს სხვა და სხვა უპირატესობას, როდესაც ამას გარემოება თხოულობდა. მაგალითად, კონსტანციმ ნება მისცა კრებულს უბაჟო ვაჭრობისა. ერთ თავის დადგინებაში კონსტანციმ განათავისუფლა ბაჟისაგან არა-თუ მარტო კრებული, არამედ მათი მოსამსახურენი და ყმები. რასაკვირველია, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ კრებულს ნება ჰქონდა ვაჭრობისა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ვაჭრობა ეხებოდა ეკკლესიის გამოსაგებელს (ინტერესებს).

ვექილობა და მზრუნველობა კრებულს აღკრძალული ჰქონდა, როდესაც ისინი ამ საქმეში ერეოდენ მოსაგებად, უკეთუმცა არა ჰქონდათ სახეში თავისი პირადი სარგებლობა, მაშინ ამის ნებას აძლევდა ეკკლესია კრებულს. ერთმა კრებამ გადასწყვიტა: ,,უკეთუ კანონი მოითხოვს, ანუ ეპისკოპოზი

მიანდობს კრებულს მზრუნველობას და ვექილობას საეკკლესიო საქმეებისას, ობლებისას, ქვრივებისას და საზოგადოდ უპატრონოისას, მაშინ ნება ეძლევა მათ.“ Იუსტინიანემ დაადგინა: „Ღვთის მოყვარე ეპისკოპოსთა და ზერთა არას გზით არ ეძლევათ ნება გახდნენ ვექილები და მზრუნველები ვისთვისაც უნდა იყოს, მაგრამ მღვდლებს, დიაკვნებს და იპოდიაკვნებს ნებას ვრთავთ ვექილობისას თავის მონათესავეთათვის.“

Კრებულს აღკრძალული ჰქონდა აგრეთვე „თავდებობა,“ როდესაც ეს თავდებობა ეხებოდა ქვეყნიურ გამოსაგებელს და უშლიდა ხელს მის მსახურებას; მაგრამ ეკკლესია არ უკრძალავდა ამას იმ შემთხვევაში, როდესაც თავდებობას ჰქონდა სახეში ზნეობითი მიზანი. Იუსტინიანე 123 ნოველდაში ნებას რთავს კრებულს ვექილობისას და მზრუნველობისას, მაგრამ ნებას არ აძლევს ეპისკოპოზს, ეკანომოსს და საზოგადოდ კრებულს, რომ გახდნენ მეზვერეთ საზოგადო გარდასახადისა, მმართველად სხვისი ადგილ-მამულისა, მზრუნველად სახლისა, რწმუნებულად არც თავის-თავისა, არც ეკკლესიებისა და მონასტრებისა.

Ვექილობასაც უკრძალავს კრებულს მოციქულების და მსოფლიო კრებების კანონები. Იუსტინიანე უკრძალავს კრებულს სამოქალაქო და სასისხლო საქმეების წარმოებას სასამართლოში, როგორც თავის სახელზე, ეგრეთვე სხვის სახელზე და საზოგადოთ ვექილობით მეცადინეობას. Განმმარტებლების ჰაზრით ეს აღკრძალვა ეხებოდა მხოლოდ კრებულის პიროვან საქმეებს. Დაცვა საეკკლესიო ინტერესებისა და გაჭირვებულთა შეადგენდა კრებულის მოვალეობას, როგორც ეკკლესიის და სახელმწიფო კანონებით, აგრეთვე საზოგადოების ჰაზრითაც. როგორც სჩანს მრავალი ფაკტებიდგან მზრუნველობა, შუამდგომლობა, საზოგადო საქმეში მონაწილეობის მიღება არა თუ აღკრძალული ჰქონდა კრებულს, არამედ საქებარ საქმედ ითვლებოდა.

ქ. უ.

ხმა სატუსაღოდამ.

წერილი რედაქტორთან.

მ. რედაქტორო! ვისაც ნაობახში ყოფნა არ გამოუცდია, ის ვერ წარმოიდგენს იმ უბედურ მდგომარეობას, რომელშიაც არის ტუსაღი. Იმ ტუსაღს კიდევ რა უშავს, რომელიც საიდუმლო ოთახში არ არის დამწყვდეული; ეს თავის ამხანაგებს მაინც ელაპარაკება და თავის დარდს უზიარებს მათ; მაგრამ ამ ტყუილ უბრალო ლაზღანდარობასაც არაფერი სარგებლობა მოაქვს ტუსაღისათვის. Ამ ერთმანეთის ლაპარაკში ტუსაღი ვერ ჰპოებს თავის ჭკუის დამარიგებელ და ზნეობითად გამწრთვნელ საზრდოს. Ერთმანეთისაგან ჩვენ თავზე გადასავალს თუ შევიტყობთ თორემ, სხვას რას გავიგონებთ. Ამისთანა მდგომარეობაში უფრო ეცემა ტუსაღის ზნეობა და ხშირად, სატუსაღოდამ გამოსული, უფრო გამოცდილებას და გამჭრიახობას იჩენს ქურდობის ასპარეზზედ, ვინემ წინეთ.

Ჩემის აზრით კაი დაგვემართოსთ, კაი იქნებოდა, რომ სატუსაღოებში ტუსაღებს ან წერა კითხვას ასწავლიდენ და ან სახელოსნო სკოლა იყოს, რომ ტუსაღებმა სატუსაღოში ყოფნის დროს, რომელიც ხშირად რამდენიმე წელიწადი გრძელდება, ისწავლოს რამე ხელობა და შემდეგ, სატუსაღოდამ განთავისუფლებისა, ასცილდენ იმ გაჭირვებულ ცხოვრებას, რომელიც მათ აიძულებს ცუდი საქმეების ჩადენას. Ბევრგან, როგორც გამიგონია, სატუსაღოებში არიან ამისთანა სახელოსნო შკოლები, რომელნიც დიდ სარგებლობას აძლევენ ტუსაღებს, მაგრამ ჩვენ როდის ვეღირსებით ამას!..

Ჩოლა ყველა ამაებს მოკლებული ვართ, კარგი იქნებოდა, რომ რამე საკითხავი წიგნები გვქონდეს ტუსაღებს. ჩვენში ბევრმა კარგად იციან კითხვა და ამ წიგნების კითხვით გავართობდით ერთმანეთს და ამით ავიცილებდით თავიდამ ტყუილ უბრალო დროების დაკარგვას და უფრო ზნეობითი განხრწნილებას არ მივეცემოდით. Მაგრამ ჩვენი ქუთაისის სატუსაღოს სტუმრები ამასაც მოკლებულნი არიან. Ნეტავი Თბილისის სატუსაღოს სტუმრებს, იმათ მაინც აღმოუჩნდათ ნამდვილი სულიერი მამა მღ. Ლომაუროვი, რომელიც დიდი ხანია, რაც მეცადინობს სატუსაღოში წიგნთა-საცავის დაარსებას და ამით ტუსაღებს დიდ საშუალებს აძლევს. მ. Ლომაურმა დიდი ხანია თავის სურვილი გამოუცხადა საზოგადოებას და საზოგადოებამაც შემწეობა აღმოუჩინა მას. Გაზეთ „Დროების“ საშუალებით ვიცით, რომ საზოგადოებამ დიდი ძალი წიგნები შესწირა მ. Ლომაურისაგან დაარსებულ წიგნთა-საცავს და მ. Ლომაურის მეცადინეობით ტუსაღებიც კარგად სარგებლობენ ამ წიგნებით. ჩვენც გვეგონა, რომ ვინმე ამისთანა კაცი გამოგვიჩნდებოდა, მაგრამ არსაიდგან სჩანს...

Ჩვენ წინეთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „მწყემს“-ში იყო გამოცხადებული, რომ ქუთაისის სატუსაღოს

ტუსაღებისათვისაც იქმნებოდა დაარსებული წიგნთა-საცავი და ამ მიზნით რამდენიმე წიგნებიც შამოსწირეს ზოგიერთმა პირებმა, რომელნიც პატივისცემის ღირსნი არიან; მაგრამ ამ ბოლო დროს ეს კეთილი საქმე სულ ჩაჩუმდა. ამის მიზეზი, ჩემის აზრით, ჩვენი სულიერი მ. ოქროპირ ქაჯახიძე უნდა იყოს, რადგან ამ საქმეში მან ვერ გამოიჩინა ის გულმხურვალება, როგორიც გამოიჩინა მ. ლომაურმა. მ. ოქრ. ქაჯახიძეს შეუძლია, თუ კი მოინდომებს, ქართული და რუსული გაზეთების საშუალებით მიიქცეს საზოგადოებისადმი და ითხოვოს, რომ ამ საქმეში ყველამ შემწეობა აღმოუჩინოს მას და ჩვენ დაიმედებული ვართ, რომ არავინ არ დაიშურებს ორიოდე წიგნის შემოწირვას. რამდენს ექნება ძველი წიგნები, რომელნიც პატრონებისთვის დიდ განძს არ შეადგენენ, და ჩვენ, ტუსაღებს, კი მეტად დაგვაეალებენ! მართალია, მ. ოქრ. ქაჯახიძე კვირაუქმე დღეებში გვიწირავს ხოლმე, მაგრამ ამასაც რომ დაგვავალებდეს ტუსაღებს, ხომ კიდევ უფრო უკეთესი იქმნება. ეიდევ გავიმეორებთ, რომ აქ მარტო მონდომა და საქმის ცოდნა არის საჭირო, და საზოგადოება რომ შემწეობას აღმოუჩენს მ. ოქ. ქაჯახიძეს, ამაში ეჭვი არავის უნდა ჰქონდეს.

სასიამოვნო და სამწუხარო ფაქტი.

23-ს სეკდემბერს ჩვენ შეგვხდა წირვის მოსმენა ჭუთაისის მთავარ-ანგელოსთ ეკკლესიაში, რომელშიაცა მწირველად იყო მარტო ერთად-ერთი მ. დეკანოზი რაჟდენ ზიგაუროვი. ამ ეკკლესიაში ხალხი ძლიერ ბევრი დადის ხოლმე და ამ დღესაც, მართლა, ბევრი მლოცველები იყო. არც ერთ ეკკლესიაში ჭუთაისში ამდენი მლოცველები არ დადიან. რატომ? აი რისთვის: ეკკლესია არის მშვენიერად მორთული; მამა დეკანოზს მოუხერხებია იმდენი, რომ ქართული გალობა გურულ კილოზედ გაუწყვია და სასიამოვნოდ გალობენ ორი დიაჩოქი და ერთიც გარეშე პირი. თვითონ მ. დეკანოზი სწირავს მშვენიერი ტკბილი და სასიამოვნო ხმით და დიდის კრძალვით; ეკკლესიაში სუფევს წესიერება და კრძალულება. წირვის გათავებისას მამა დეკანოზმა აუხსნა ხალხს წაკითხული სახარება მდაბიური და გასაგონი ენით, რომელმანც მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. მსმენელები იქამდის დარჩენ მადრიელნი ამ სიტყვით, რომ ვერ დასძლიეს თავის გულის თქმას და იქვე გათავებისათანავე სიტყვისა მრავალთა მსმენელთა წარმოსთქვეს: „შენც Uმერთმა მოგცეს კეთილი და აგისრულოს გულის საწადელი“. მრთი სიტყვით ყველანი მშვენიერი შთაბეჭდილებით გამოვიდნენ ეკკლესიიდამ. ეს გახლავთ სასიამოვნო ფაქტი.

Uამოვიდა თუ არა ტრაპეზიდამ სახარების აღსახსნელად (ჯერეთ წირვა სრულებით გათავებული არ ყოფილა), იქვე ეკკლესიის გვერდით შეიქნა მუსიკის ხმის გრიალი, რომელიც არ დამცხრალა სიტყვის გათავებამდის და ხალხის ეკკლესიიდამ გამოსვლამდისინ. მუსიკის ხმა იქამდის მაღალი იყო სიახლოვისა გამო, რომ ხან-დის-ხან კიდეც ვერ გაიგონებდი მოძღვრის ხმას. ეს მუსიკა იყო ერთ სახლში, ეკკლესიის გვერდით, რომელშიაც მუზეუმი და პანორამები გაუმართავსთ. ეს პირველი შემთხვევა არ არის ჭუთაისში. ხშირად ჭუთაისის სობოროში მწუხრი და ან ღამის-თევით ცისკარი სრულდება და მის გვერდით, ბულვარში, მუსიკა უკრავს და ბარაბანს გააქვს გრიალი... აი ეს გახლავსთ, ჩვენის აზრით, სამწუხარო ფაქტი.—რიგი იყო ამისთვის სასულიერო და სახოროციელო მართებლობას ყურადღება მიექცია. ამის შემდეგ მაინც უნდა იქნეს ამაზე ყურადღება მიქცეული და წირვა-ლოცვის გამოსვლამდის, თუ ყველგან არა, ეკკლესიის კარებთან მაინც აღუკრძალონ მუსიკის დაკვრა.

ს—ის მღ—ლი.

ჭუთაისიდამ.

Oთხს სეკტემბერს ჭუთაისის სასულიერო სასწავლებელში ახლად მისაღები ყმაწვილების ეკზამენები გათავდა. ხუთ ამა თვეს ყველა ამ სასწავლებელში მოსამსახურე პირნი მივიდნენ სწავლის დაწყებამდის Uდ. სამღვდელო ზაბრიელთან ლოცვა-კურთხევის მისაღებლად. Uდ. სამღვდელომ მიიღო ისინი თავის ზალაში და მამა-შვილური დარიგება მისცა მათ: „ჩვენ სასწავლებელში ადრევე, ბრძანა Uდ. სამღვდელომ, კარგად მიდიოდა სწავლის საქმე, მაგრამ ბოლოს დროს, სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით. ამის მიზეზი ყველამ იცით. ეხლა იმედია, რომ,თუ თქვენ ერთგულათ მოჰკიდებთ საქმეს ხელს, თუ თქვენში იქნება ერთსულობა და საქმის ერთგულება, საქმე კიდევ კარგათ წავა. Oმედია, რომ აწი, ახალი ზედამხედველის ხელში, მშვიდობიანათ იმუშაებთ და

ერთობა იქმნება თქვენში.“ შემდეგ ყველა მასწავლებლებმა მიიღეს ლოცვა-კურთხევა და წავიდნენ თავთავიანთ კლასებში სამეცადინოთ.

ამავე თვის ცამეტს, მღ. სამღვდელომ ერთად შეჰკრიბა ყველა კლასების შეგირდები, რომელთაც, დაახლოებით, შემდეგი სიტყვა უთხრა: „მე შარშანაც დაგარიგეთ თქვენ და ეხლაც გეტყვით ორიოდე სიტყვას. თქვენ ამ სასწავლებელში სწავლისთვის შემოგიყვანეს, მაგრამ იცით, ვინ ისწავლის კარგად? კარგად ის ისწავლის, ვინც ყურადღებით ისმენს კლასში. ვინც კლასში ერთგულად არ დაიარება და, როცა კლასშია, არ ისმენს კარგად, ის ვერაფერს ვერ ისწავლის. თქვენი მშობლები იმიტომ ხარჯვენ თქვენი გამოზრდისათვის ფულებს, რომ თქვენ კარგად ისწავლოთ და კაი კაცები გამოხვიდეთ. სკოლაში ბეჯითად სიარულის გარდა, თქვენ უნდა გიყვარდესთ სიწმინდე. მართალია, რომ თქვენ ღარიბი მშობლების შვილები ხართ და მათ არ შეუძლიათ თქვენი მდიდრულათ ჩაცმა და შენახვა, მაგრამ იმას მაინც მოუარეთ, რაც გაცვიათ და სუფთად იქონიეთ. თქვენ თვითონ მოუარეთ თქვენს თავს; ერთი რუსული ანდაზა ამბობს: „ვინც თავის თავს იცავს, ის ღმერთსაც დაცული ჰყავს,—თუ თვითონ თქვენ თავს არ გაუფრთხილდებით, მაშინ ღმერთიც მოგშორდებათ და აღარ იქმნება თქვენი მფარველი. თქვენ თვითონ გაირეცხეთ თქვენი ტანისამოსი; წმინდათ იქონიეთ თქვენი ქვეშ-საგები. კაი დარში გარეთ გამოიტანეთ, გაამზიურეთ, გარაკეთ; მერე დაწმინდეთ თქვენი სახლი და ისე დააგეთ ლოგინი. ნავახშმევს პირი გამოირეცხეთ კარგად, ღმერთს შეევედრეთ და დაწევით. დილით ადრე ადექით; პირის დაბანის დროს კარგად მოიბანეთ კისერი, გამოიწმინდეთ ყურები და წმინდათ იქონიეთ თავი. მე ხშირათ ვხედავ ხოლმე, რომ ზოგიერთ თქვენგანს პირი და ხელები მთლად გასვრილი აქვს და თავი დაუვარცხნელი. თავი ხშირად დაიბანეთ ხოლმე, თორემ მასზე მუწუკები გაგიჩნდებათ და ბოლოს თავი სულ გაგიბელატდებათ. თამაშობის დროს ერთი-ერთმანეთს ტანისამოსს ნუ დახევთ ხოლმე და ნურც პატარები დიდებთან ითამაშებთ. ყოველთვის პატარამ პატარასთან უნდა ითამაშოს. თამაშობის დროს ყვირილი ნუ იცით.

ამ გარეგანი სიწმინდის გარდა იმეცადინეთ, რომ თქვენი აზრი და გონებაც წმინდათ გქონდესთ. ნურაფერს მოიპარავთ, ერთმანეთს ტყუილს ნუ ეტყვით, ლაპარაკის დროს ტყუილ-უბრალოზე ნუ იფიცავთ. გარდა ამისა, ეკლესიაში იარეთ. მე ხშირად გხედავთ თქვენ, რომ თქვენს ეკლესიაზე დიდი ხანია დარეკეს წირვის, და თქვენ კი ქუჩებში დაეხეტებით. ქუჩებში ტყუილ-უბრალოდ არ უნდა გაჩერდეთ და ნამეტურ წირვის დროს რა გინდათ ქუჩაში? თქვენ იცოდეთ, რომ აქ, ამ სასწავლებელში, წმიდა ტრაპეზის მსახურებისთვის გამზადდებენ და როგორი ტრაპეზის მოსამსახურე იქმნებით, თუ პატარაობიდგან არ მიეჩვევით ეკლესიაში სიარულს. თქვენ უმეტესად სასულიერო წოდების შვილები ხართ და სირცხვილი არ არის, რომ ეკლესიაში არ გიყვარდეთ სიარული! თქვენ პატარაობიდგან უნდა მიეჩვიოთ ეკლესიაში სიარულს: დარეკონ თუ არა კვირაუქმე დღეებში ზარი, მაშინვე გაიქეცით ეკლესიაში სალოცავად. მე შარშანაც გითხარით თქვენ და ეხლაც გეუბნებით, რომ ამ თქვენი სასწავლებლის ახლო-მახლო პატარა ბზის და სხვა ხის ტოტებს ნუ სტრით, ნუ ამტვრევთ, თორემ მერე ეს თქვენთვის იქნება საზარალო,—ჩირგვები და ხეები რომ აღარ იქმნება, მაშინ მარტო მოტიტვლებული მიწა დარჩება, რომელიც მზისგან გახურდება და ჰაერსაც გაახურვებს, კიდევ გაგიმეორებთ, რომ კარგად ისწავლეთ; იცოდეთ, რომ თქვენ სწავლისთვის ჩამოგიყვანეს ამ სასწავლებელში. კარგად სწავლა თუ გინდათ, ბეჯითად იარეთ სასწავლებელში, ყურადღებით ისმინეთ მასწავლებლის სიტყვები, თუ რომელიმე სიტყვა არ იცოდეთ, ადექით და მასწავლებელს ჰკითხეთ. სიწმინდე გიყვარდესთ. რაც გაცვიათ, წმინდათ იქონიეთ. კვირა-უკმე დღეებში ეკლესიაში იარეთ.“ ამ სიტყვების შემდეგ მღ. სამღვდელომ ჯვარი გადასახა შაგირდებს და აკურთხა ყველანი.

სრული იმედია, რომ სწავლის საკმე ამ სასწავლებელში ამის შემდეგ კარგად წავა. ახალი სასწავლებლის ზედამხედველს წელს სწორეთ, უნდა ვსთქვათ მართალი, რიგიანად ეჭირა თავი. ამ წელში ადგილის უქონელობისაგამო ბევრს ეთქვა უარი კლასში მიღებაზე, მაგრამ არავინ მომდურავი ზედამხედველისა არ წასულა, რადგან ის მეტის-მეტად ზრდილობიანად იღებდა ყველა მთხოვნელებს და უცხადებდა პატივ-სადებ მიზეზთა, რომელთა-გამოც მათი შვილები არ მიიღებოდნენ სასწავლებელში. იმედია, სამღვდელოებას აუსრულდება ის მოლოდინი, რასაც ბ. ტატიევისაგან მოელოდნენ. მსეც უნდა ვსთქვათ, რომ ბ. ტატიევისაგანაც დიდი შრომა და გამჭრიახობა არის საჭირო ამ მოლოდინის გასამართლებლად.

ლეჩხუმიდამ.

მგონებ ყველამ კარგათ უნდა იცოდეს, რომ ლეჩხუმისთანა მცირე, ღარიბი და სწავლა-განათლებით ნაკლები მხარე ძალიან ცოტა მოიპოვება მთელს კავკასიაში. ადგილის მდებარეობითაც სვანეთიეით თითქმის უსწორ-მასწორ, მთა-ტყიან სურათს წარმოგვიდგენს ლეჩხუმი. ლეჩხუმი ათ სამამასახლისოდ განიყოფება. მთელს ლეჩხუმშიდ სულ ორიათას შვიდას ოთხმოცდა ცხრამეტ კომლამდის იქნება. ამათ დიდის მეცადინეობით და გაჭირვებით, როგორც იქმნა, 1873 წელში ძლივს გახსნეს რვა ღარიბი სახალხო სასწავლებელი. სასწავლებლებს პირველად არა ვითარი საშუალება არა ჰქონდათ სასწავლო ნივთების მოპოებისა. ლეჩხუმის ხალხის სიღარიბე მიიღო სახეშიდ სახალხო განათლების მართებლობამ და იმ თავით ყოველნაირი მოუცილებელი საჭირო სახელმძღვანელო წიგნები და სურათები სასწავლებლებს უფასოთ გამოუგზავნა და ამ საშუალებით სასწავლებლები თავის დანიშნულების აღსრულებას შეუდგნენ. მას შემდეგ დიდ სიკეთეს უშვება და საკმაოდ აძლევს სკოლებს მუქთათ სხვა-და-სხვა საჭირო და სასარგებლო სკოლის სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნებს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მასწავლებლები უმეტეს ნაწილად სასულიერო უწყებისა არიან. თითოეულს მათგანს 160 მანეთი ჯამაგირი აქვს დანიშნული. ლეჩხუმის სახალხო მასწავლებლების უსაშუალო და გაჭირვებულს ცხოვრებას სამძღვარი არა აქვს. აქამომდე ცოტათი მაინც ასრულებდენ სკოლები თავის დანიშნულებას და, ბევრად თუ ცოტად, მაინც შეამჩნევდით მათშიდ სწავლას. ს. ჭყვიშის და ორბელის სახალხო სკოლების მასწავლებელთა კარგა საქმის წაყვანისათვის წარსულს 1883 წელში უმაღლესმა მართებლობამ ჯილდოთ გამოუგზავნა მათ ოთხმოც-ოთხმოცი მანეთი. ს. ალპანისა და დერჩის სკოლები სამწუხაროდ, წელიწადი გადის რაც დაიკეტენ და სწავლა მათში მოისპო. როგორც ამბობენ და ხმაც არის: გლეხების სურვილია, რომ სკოლებს თავი დაანებონ და მათი ხარჯი და დავიდარაბა თავიდამ მოიშორონ. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ამისთანა მავნე აზრი ხალხშიდ მართლა დაბადებულიყოს.

სასულიერო მხრითაც ლეჩხუმი არა სანატრელ სურათს წარმოგვიდგენს. ლეჩხუმის მაზრა სამ საბლაღოჩინოდ განიყოფება. ლეჩხუმში ორმოცდა ათი შტატის ეკკლესია არის და ოცამდის ზედმიწერილი; ამათში ხის ეკკლესიებია 25. ორი წილი მეტი ეკკლესიებისა ახალ პლანზეა აშენებული. თუმცა ლეჩხუმის ეკკლესიები საზოგადოდ ღარიბნი არიან და დიდი ნაკლულევანება აქვსთ, მაგრამ წინეთ ეკკლესიების ღარიბ და უსაშუალო მდგომარეობას გამშვენებით, ბევრად თუ ცოტად, ეხლა სჯობიან. მთელს ლეჩხუმში ძველი ძვირფასი ნივთებით, მორთულობით და სიმდიდრით მარტო სამი ეკკლესიაა შესანიშნავი: ოყურეშის, ლაილაშის და ლამეჯინის. ამ უკანასკნელშიდ ისეთი დიდრონი და ძვირფასი თვლებით მორთულ ხატსა და ჯვარს ნახავთ, რომ ადგილიდამ სამი-ოთხი კაცი თითოს თუ დაძრავს. მღვდლები ლეჩხუმშიდ 60-მდის იქმნება. თითოეულს ეკკლესიაზედ კრებული ერთის მღვდლისა და ერთის პრიჩეტნიკისაგან შესდგება. ლეჩხუმში თითეულ შტატის მღვდელს 40—60 კომლი ჰყავს. მღვდლების შემოსავალი დრამა არის 2 მანეთი ფული კომლზედ; გლეხიდამ მიცვალებულის საწირავი ხუთიდამ რვა მანეთი და ჯვარის საწერი ორიდამ ოთხ მანეთამდე და ამასაც სამღვდელოება დიდის გაჭირვებით იღებს. ამისთანა ღარიბ და მცირე მრევლში მესამედი მეტი თითქმის თავად-აზნაურობა იქმნება, რომელნიც სამღვდელოებას დრამას არ აძლევენ. სხვა შემოსავალი სამღვდელოებას მრევლთაგან სრულიად არაფერი აქვსთ. საზოგადოდ ლეჩხუმის სამღვდელოების ცხოვრება და მდგომარეობა სარჩოთი ძლიერ დაცემული და გაჭირვებულია. სებისკვერები და ზედაში ეკკლესიებში უმეტეს ნაწილად სამღვდელოების ოჯახობიდამ უფასოდ იხარჯება. მღვდლები ადგილობრივ მცხოვრებთაგანნი არიან; აქვთ თავისი საკუთრება ადგილ-მამული, თვათ მუშაკობენ: ხვნენ, თესვენ და მამულებს აკეთებენ და ცოტას ღარიბი და მცირე სამრევლოდამ შოვობენ. ამ საშუალებით, როგორც არის გაჭირვებით თავის ცოლშვილს არჩენენ. ეკკლესიის კრებული უმეტესი წილი ძველი დროისა არიან და მარტო ქართული იციან. რაიცა შეეხება სამღვდელოების მათი მოვალეობისა მებრ სამრევლოში მსახურებას, ეკკლესიებზედ ზრუნვას და თავის ხარისხისამებრ სიწმიდით ცხოვრებას, — სწორეთ საქებნი არიან.

მღ. ნ. ფრუიძე.

დღეობა ბერის-ძუარში.

ეს ღრმა პატივის-ცემა სალოცავებისადმი, რომელიც გამოიჩინა მთელმა ევროპამ მე-XII და მე-XVII საუკუნეებში, ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა დასავლეთ სამეფოებში, მაგრამ ჩვენს საქართველოში კიდევ მხურვალედ სრულდება. სამწუხაროდ, ამ ბოლოდროს ამ წმიდა და წრფელმა გრძნობამ, სალოცავების პატივის ცემისამ, სხვა ხასიათი მიიღო. ძველი ქართველი მიდიოდა დღეობებში სალოცავად, ეხლანდელი ქართველი ნამეტნავად მიდის მხოლოდ საქეიფოდ. ჩვენგან მოხსენებული ბერის-ძუარი (ბერი-ძუარ) იმყოფება ბორის მაზრის ოსეთში, ერთ მაღალ კლდის წვეროზე. იქვე ძუარის გვერდზე იმყოფება აწ დანგრეული კოშკი. თვით ეკლესიის აღმშენებლად ოსები ჩვეულებრივ „თამარ-მწყანარს“ სთვლიან, მაგრამ იგი დანგრეული კვლავ აღუშენებია „ოსურ სასულიერო კომისიას“ 1818 წელს.

ძნელად მოიპოვება ბორის მაზრაში და საზოგადოდ მთელ ქართლშიაც (არბოს მეტი) იმისთანა სალოცავი, რომელშიაც მოდიოდეს იმდენი მლოცველები, როგორც ბერში. ამ სალოცავს ესტუმრებიან ხოლმე თვით „ოქროს ფოთლიდამაც“ (ახეთიდამ), თრიალეთიდამ, სოფ. ლილოდამ (თბილისის მაზრაში), სადაც გარდასახლებული ოსები სცხოვრებენ და სხვ. ჩვენ დავესწარით მარიამობის-თვის 26-ს ამ ძუარის დღეობაზე.

ოკანასკნელი ოქროს ფეროვანი სხივი-ღა ეალერსებოდა ამ ძუარს, როდესაც მე და ჩემი თანამოგზაური ბიტა ცხენებით ავდიოდით ერთ ვიწრო ბილიკზედ და დიდი მანძილიც აღარ გვქონდა გასავლელი წმიდა ალაგამდის. ბზაზედ შემოგვხვდებოდნენ ხოლმე მრავალნი ქართველნი, რომელნიც წინ მიერეკებოდნენ ბატკნებს სამსხვერპლოდ. სიტყვაზე „გწყალობდეთ“!, მათგან გამოისმოდა ჩვეულებრივი გულ-წრფელი ქართველური სალამი: „თქვენი მწყალობელიც იყოს“! მობინდა, ჩვენ ავედით ძუარში. მყუდრომკვდარმა ბუნებამ ქართლის ახლო-მახლო სოფლებისამ, აქ სხვა ხასიათი მიიღო: გრილი ლიახვის ქარი გვიბერავდა ხეობიდამ და საზამთროდ მოგვაწყო.

იამე იყო მშვენიერი. ბანიერი მინდორი სალოცავის წინ ერთბაშად აიმსო ცეცხლებით; ზურნის, მუზიკა-დაირის ხმა, ლეკური, სუფრული და „წმიდა ბიორგო ცხოველო, შენს სალოცავად მოველო“-ს სიმღერა უნებურად მოიყვანდა კაცს აღტაცებაში. შორი-ახლოდამ, მთვარით განათლებულ ღამეში, ჩვენ გადმოგვყურებდა ვერცხლის-ფეროვანი მოხუცებული ბრუთი-საბძელი, რომელსაც თითქო ესიამონებოდა ხალხის პატივის-ცემა თავის მოძმისადმი (ბრუთი-საბძელიც ძუარია)...

ეკრძელი ბაასის შემდეგ მღ. ბრ. და ალ. ძოქოშვილებთან, რომლებმაც ბევრი საინტერესო ცნობები გადმომცეს ამ ეკკლესიაზე, მის წარსულზე და სხ. ჩვენ დავრჩით მეორე დილამდე.

ხვათა შორის, მე უნდა ვაცნობო მკითხველებს ის საშუალება, რომელსაც ოსები ხმარობენ შეშლილების მორჩენისათვის ამ ძუარში. შეშლილს (ქალია თუ კაცი) გაატიტვლებენ ხოლმე სულ მთლად, შეჰკრავენ თოკებით და ჩაუშვებენ ერთ მაღალ კლდეზე, ზევიდამ სცემენ, აგინებენ, ესვრიან ქაღალდით გატენილ ტამბაჩებს და ზევიდამ დასძახიან: „გვითხარი, რა ჰქვიან შენს ეშმაკებს, თორემ მოგკლამთო!“ საწყალი, როდესაც მეტის-მეტად შესწუხდება და უფრო შეიშლება ჭკუაზე, ისვრის რაღაც სიტყვებს, რომელთაც ოსები ქაღალდზე დასწერავენ ხოლმე და ცეცხლში ჩააგდებენ, „ეხლა მორჩებაო!“, მაგრამ მორჩენის მაგივრად ზოგჯერ ამისთანა პირნი საუკუნო განსვენებასაც მიეცემიან ხოლმე.

ედგილობრივი მღვდელი მ. ბრ. ძოქოევი, რომელიც, პირ-მოუთვნელად რომ ვსთქვათ, ერთ საუკეთესო წარმომადგენლად ჩაითვლება ბორის მაზრის ოსეთის სამღვდელოებისა, ბევრი ებრძოლა და ებრძვის ამ ჩვეულებას და შეამოკლა კიდეც ამისთანა ცრუმორწმუნოების რიცხვი; ჩემ იქ ყოფნის წინა დღესაც ამოეყვანათ ერთი შეშლილი ოსი, ჯიბალაშვილი, კლდიდამ გარდასაშვებლად, მაგრამ მ. ძოქოევის სიტყვებმა გამოაცალევინეს განძრახულება და იგი დაბრუნდა შინ.

ეკერის-ძუარში რომაელების Pontifex-ებისაებრ იმყოფებიან „დეკანოზებიც“, მაგრამ აქ მათ ისეთი მნიშვნელობა და გავლენა არა აქვსთ, როგორც სხვა ოსეთის ძუარებში.

ბიორგი ლიახველი.

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

XII.

Ბედნიერნი დღენი დაუდგა საქართველოს დიდის და უძლეველის Თამარის მეფობის დროს. მან თვისის გამჭრიახობით და სიბრძნით მტკიცედ შეაერთა და შეაკავშირა ყოველნი ქართველნი. Ვაჟკაც მხედართა გონიერად მოხმარებით დაიპყრა ყოველნი მიდამონი შავი და კასპიის ზღვისანი და შიშის ზარი დასცა ოსმალთა (თურქთა), სპარსელთა, მთიულთა და სხვათა. Თამარმავე დაიპყრო მცირე აზია *) და დააარსა აქ ტრაპეზუნტის იმპერია, რომლის გამგებლად დასვა თვისი ნათესავი, ძველადგან საქართველოში გადმოსახლებული ბერძენთა იმპერატორთ ჩამომავალთაგანი Ანდრონიკაშვილი. Ასეთი სიძლიერე ჰქონდა Თამარსა გარეშე საქმეებში.

Რაიც შეეხება Თამარის მოღვაწეობას ქართველთა ერის წინ-სვლისა, და წარმატებისათვის, ამის აღწერას და დაწვლილებით გამოძიებას მთელი ტომები მოუნდება, ამიტომ ჩვენ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ამ საკვირველი დედა-კაცის უმთავრეს საქმეთა და მოღვაწეობათა.

Გამეფებისავე თანა Თამარმან, როგორც პატრონმა და მამამან ქვეყანისამ, წინ წამოაყენა და მფარველობა დაუწყო ყოველთა ნიჭიერთა და სწავლა-მეცნიერებით აღჭურვილთა პირთა. Რაც ძალი და ღონე ჰქონდა ყოველი მეცადინეობა იხმარა მიეცა მათთვის შეძლება, რათა თვისი სწავლა-მეცნიერება, გამოცდილება კეთილად მოეხმარათ მამულის წარმატებისათვის. Ამნაირის მფარველობის და მამობრივი სიყვარულის გამო **) საქართველოს გამოეზარდნენ შესანიშნავნი და უკვდავნი მოღვაწენი, როგორც სამხედრო წოდებაში, ისე საეროში და სასულიეროშიაც. Იოანე და Ზაქარია მხარგრძელები—სპარსელნი საქართველოს ჯარისანი, Შოთა Რუსთაველი, Ჩახრუხაძე, Შავთელი და იმ დროინდელი გუნდი სასულიერო წოდებისა უკვდავნი არიან ჩვენი ერის ისტორიაში და სახსენებელი მათი საშვილიშვილოდ გადაიცემის. Თამარის დრო (1184-1212 წ.) ოქროს ეპოქად არის ჩაწერილი საქართველოს ერის ცხოვრების ისტორიაში.

Ეს დრო ჭეშმარიტად იყო ქართველთა სულიერის და ზნეობრივის ზრდისა და წარმატებისა. Ამ დროს დაიწერნენ უკვდავნი თხზულებანი, იქმნენ საკვირველნი ძლევანი მრავალთა ჩვენთა მტერთა ზედა, გაშენდნენ ქალაქ-დაბა-სოფელნი, *) დიდნი და მრავალნი ტაძარ-მონასტერი და მათთან ერთად სკოლანი ხალხის გასანათლებლად, გაყვანილ და გათხრილ იქმნენ რუნი, არხნი **) ურწყავ ადგილების მოსარწყავად და მოსაშენებლად; ქვეყნის დასაცვავად მტრების შემოსევისაგან მაღალ მთების მწვერვალთა ზედა აგებულ იქმნენ კოშკნი, ციხენი, თხრილნი, გამოქვაბულნი, საკვირველნი გალავანნი და კარები; ეკკლესიის საქმეების განსაწმენდელად და გასაუმჯობესებლად მცხეთაში მოწვეულ იქმნა კრება სასულიერო პირთა, რომელნიც ჩინებულად აღზრდილ იყვნენ ბრძენის Გიორგი მთაწმიდელის სკოლაში—Თბილისში.

Ჩვენი მონასტერ-ეკკლესიანი იმდენად მდიდარნი და განწყობილნი იყვნენ, რომ Თამარი საზრდოს მიაწვდიდა ხოლმე ბერ-მონაზონთა, მონასტერ-ეკკლესიათა უცხო ხალხთათაცა: ბერძენთა, ასურელთა და სხ. Თამარმა აღაშენა, განაახლა და შეამკო ტაძარ-ეკკლესიანი ქართველთა, აგრეთვე Პალესტინას, Იერუსალიმს, Კვიპრეს, Ანტიოქიას, Ათონს, საზოგადოდ საბერძნეთს და მცირე აზიას. Ყველა ამათ ხაზინის მიწვდის გარდა ,,უყიდნა შესავალნი და შესწირნა მამულნი და სოფელნი.“

*) მიზეზი ამის იყო ბერძენთ იმპერატორი ალექსი ანგელი, რომელმაც, თვისის სიხარბისა-გამო, თამარისაგან დასაჩუქრებულთ ბერძენთ ბერებს წაართვა ყოველივე, რაც მოჰქონდათ საქართველოდგან. თამარის ბრძანებით იმერთა ჯარნი მიუხდენ ბერძენთა და ერთი შეტევით აიღეს ტრაპეზუნტი, ლიმონი, სამსუნი, სინოპი, კერასუნდი, ქიტორა, ამასტრია, ღერაკლეა პაფლაღონიით და პონტი. აქ თამარმა, როგორც ვსთქვით, დააარსა ტრაპეზუნტის იმპერია (1204 წ.), რომელიც არსებობდა 1461 წლამდე. ტრაპეზუნტი აღშენებულია ბერძენთაგან. იმპერატორმა ადრიანმა გაათხრევინა აქ დიდი ნავთ-საცუდელი. ეს ქალაქი ერთ დროს ეჭირათ გოთებსა, მემრე ორ საუკუნეს გენუელებსა და იყო და არის ეხლაც სავაჭრო ქალაქი.

**) არ შეგვიძლიან აღუნიშვნელად დავტოვოთ ის გარემოებაც, რომ თამარის გამეფებამდის წინა მეფეებისაგან უკვე რამდენათმე იყო მომზადებული ის ნიადაგი, რომელიც ნიჭიერმა თამარმა კეთილად მოიხმარა და მისცა ქართველებს სახსარი აღმოეჩინათ თვისი ინდივიდუალური სახე.

*) სხვათა შორის, თამარმა ააშენა ქალაქი თამარა-შენი ლიახვის ხეობაში. ეს ეხლა სოფელია. ააგო სამების ტაძარი ალაზნის მარცხენა ნაპირზე, დაბა ალვანში, სადა მას ჰქონდა მშვენიერი სასახლე. დაასრულა აღშენება ვარძიის კლდეში გამოკვეთილ მონასტრისა, აგრეთვე გაამშვენიერა გაენათის მონასტერი და სხ.

**) ყველაზე დიდი არხი, მისგან გაყვანილი, იყო ის არხი, რომელიც ალაზნიდამ შირაქის ურწყავ ადგილების სარწყავად გაყვანილიყო. ეხლა იგი გაუქმებულია და რამდენიმე მილიონი მანეთი დასჭირდება მის განახლებას.

შემდეგი მშვენიერი ეპიტაფია მოკლედ გადმოგვცემს მთელს შინაარს თამარის მოღვაწეობისას:

,,უბის ავაგე საყდარი, უწყლოსა წყალი ვადინე;
ისპაანს დავსდევ ბეგარა, სტამბოლს ხარაჯა ავიღე;
თეთრს ზღვაში რკინა ჩავაგდე, ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე;
ამდენი საქმის მოქმედმან ცხრა ადლი ტილო წავიღე‘‘ *).

ამ თავის დასასრულში მოვიყვან ცნობებს იმ მონასტერ ტაძრებზე, რომელნიც ჰქონდათ ქართველებს გარეშე საქართველოისა.

ა) ჯვარის მონასტერი იერუსალიმში **) აღშენებულა მეოთხე საუკუნეში მირიან მეფისაგან. უბოძებია მისთვის ადგილი დიდს კონსტანტინეს, ბერძენთა და რომთა მეფესა. ესევე მონასტერი და სხვანიცა განამდიდრა მეფე ვახტანგ გორგასლანმან და მეფე ბაგრატ III-მან საფუძვლითგან განაახლა, განამშვენა და შესწირა მას დიდი მამულები საქართველოში. ამავე მონასტრისათვის მრავალი იღვაწა შავთის მცხოვრებმა ბერმა პროხორემ, რომელიც სიკვდილამდის სცხოვრებდა იერუსალიმში, ჯვარის მონასტერში. როდესაც მონასტერი დაძველდა, მაშინ იერუსალიმს მივიდა მოხუცებული შოთა რუსთაველი, დამწერი ,,ვეფხვის ტყაოსნისა‘‘ და დადგრა ჯვარის მონასტერში; მას განუახლებია იგი და შეუწირავს მისთვის ,,მრავალი სიმდიდრე‘‘ და ,,თვითცა ვიდრე გარდაცვალებამდე თვისსა ყოფილ-არს მუნ, ლოცვითა და ვედრებითა ღთისა მიმართ აღსრულებულ არს და მუნვე ჯვარის მონასტერსა შინა დაფლულ არს, სადაცა სახეც მისი არს მუნვე კედელსა ზედა დახატული და ჰგიეს, ვიდრე მოდღეინდელად დღემდე.‘‘

ბ) იაკობ ალფეზის ათორმეტთა მოციქულთა მონასტერი აღუშენებია გიორგი I-სა, საქართველოს მეფესა. ,,ზარაფხანა მეფეთა მუნ ყოფილა ამ მონასტერსა შინა... ქრთამის მიცემითა თურქთა ეს მონასტერი წაართვეს ქართველებს და მისცეს სომეხთა.‘‘

გ) წმ. ნიკოლაოზის მონასტერი კახთ-დედოფლის ელენესაგან (ელისაბედი) არის აშენებული. ტიმოთე მიტროპოლიტი თავის მოგზაურობაში (128 გვ.) სწერს ამ მონასტერზე: ,,წმიდის ნიკოლოზის მონასტერი კახთა დედოფლისა, ელენე ყოფილისა ელისაბედისაგან *) აღშენებულია; წმ. ნიკოლოოზ თვით მჯდარა მუნ; სენაკი მისი მუნ ყოფილა.‘‘ ეკლესიის კანკელზე შემდეგი წარწერაა: ,,წმიდაო ნიკოლოოზ, მეოხ-ექმენ წინაშე ქრისტესსა კახთა დედოფალსა ელენეს ყოფილსა ელისაბედს‘‘ (იხ. Родъ княз. Челокаев. გვ. 23, პ. იოსელ.).

დ) წმ. აბრაამ მამათ-მთავრის მონასტერი, სადაც ისააკ შესწირა მამამან მისმან. ტიმოთე ამბობს (157 გვ.), რომელ თავადს აბაშიძეს გიორგის დარღვეული ესე მონასტერი განუახლებია ახალს საუკუნეებშიო. ამასვე ჰმოწმობს წარწერა: ,,ესე მონასტერი მამათ-მთავრის აბრაამისა განახლებულ არს საფასითა იმერლის გიორგი აბაშიძისათა 1700 წ.‘‘

ე) წმ. იოანე მახარებლისა და მოციქულისა და ღვთის-მეტყველისა მონასტერი აღუშენებიათ საათაბაგოს ათაბეგებს. ეს ყოფილა დედათ მონასტერი და აქ ცხოვრებულან ქართველნი მონოზანნი, ხოლო ეხლა ფრანგთა უპყრიესთ. ამაზედ არის წარწერა: ,,ქრისტე ღმერთო, შეიწყალე იოანე ოსანაძე **).‘‘

---

*) თამარი აღესრულა 1212 წ. 18 იანვარსა და ჰმარხია გაენათის დიდებულს მონასტერში. ,,ამ მთის (გაჭრილის მთა) ჩრდილოს კერძოდ და წყალ-წითელას აღმოსავლით, გორის კალთას, არს ეკკლესია ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, დიდ-შვენიერი, დიდ-ნაგები და ქმნული შიგნით სოფიის კენჭითა, გუნბათიანი, კეთილ-შვენიერს ადგილსა; აღაშენა აღმაშენებელმან დავით მეფემან და უწოდა სასუფეველს გენათი და აწ უწოდებენ გელათს. აქა არს ყოვლად-წმიდისა ხატი ხახულის ღვთის-მშობლისა, ლუკა მახარებელის დახატული, ყოვლად-წმიდის ძითვე და შემკული ძვირ-ფასითა ქვებითა აღმაშენებლისა ხა თამარ მეფისა. აქავ არიან ჯვარნი და ხატნი ოქრო-ვეცხლითა და ქვითა შემკულნი ძველითვე მრავალნი. ჰკიდია ზღუდის კარი ბჭესა მისსა რკინისა, აღმაშენებელის მოტანილი დარუბანდიდამ.‘‘ აქვე არის შესანიშნავი, ძველი და ძვირფასი სახარება. ,,ამას შინა დაფლულ არიან: აღმაშენებელი, გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან, დავით და სხ.‘‘ შემდგომად საქართველოს განაწილებისა იფლვიდიან იმერთა მეფენი. აქ იჯდა ეპისკოპოსი, რომელსაც ექვემდებარებდენ არგვეთის ნახევარი, ოკრიბა და ქუთათლის სამწყსონი.

თამარის მეფობაზედვე არის შედგენილი შემდეგი სახალხო ჰიმნი (საგალობელი):

,,დედოფალი მაღალ ხარისხოვანი
დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა
თამარ ასული გიორგისა
შემდეგ მესხიისა
ღმერთმან ადიდოს ძლევანი მისნი.‘‘
(იხ. Нумизм. Баратаева).

**) ამ მონასტერს დღესაც თბილისში აქვს თვისი კუთვნილი საყდარი, წოდებული ,,ჯვარის მამად,‘‘ აგრეთვე მთელს საქართველოში მიწები, ბაღები და მამულები. უვლა ამას განაგებს ბერძენი არხიმანდრიტი, რადგან ჯვარის მონასტერი იერუსალიმში ეხლა ბერძენთ ხელშია.

*) ელენე იყო დედა მეფის გიორგისა, რომელიც აგრეთვე იწოდებოდა ლეონად. ქმრის სიკვდილის შემდეგ ელენე 1492 წ. მონოზნად შეიმოსა და წარვიდა იერუსალიმს და იქვე აღესრულა.

**) ოსანაძე იოანე საქართველოს ისტორიაში არსად არ იხსენება.

ვ) ვასილის მონასტერი ჯვარის მონასტერთან ახლოს აღუშენებია თ. ამირინდო ამილახორს და თაყას.

ზ) მეორე წმ. ნიკოლოოზის მონასტერი ჯვარის მონასტერთან ახლოს აღუშენებიათ პაატა და ქაიხოსრო წულუკიძეთ.

ს) წმ. თეოდორეს მონასტერი აღუშენებიათ ბეჟანს და ბაადურ ჩოლაყაშვილებს (ტიმ. 157 გვ.). წარწერანი მოგვითხრობენ: „ჩოლაყაშვილსა ყადორსა და მათთა ძმათა და ძმის-წულთა ცოდვანი მათნი შეუნდეს ღმერთმან, ამინ. წმიდაო თეოდორე შეუნდნე ჩოლაყა... ამინ. მათსა ყმასა შიოს შეუნდნეს ღმერთმან. ამინ.“ მეორე წარწერა: „ღმერთო და წმიდაო თეოდორე, შეიწყალე ირუბაქისწე... ლაყას შვილი ცოდვილი ბენა. ესე საყდარი აღეშენა ჩემთა მშობელთა შესანდობელად, რათა იქმოდენ აღაპსა თევდორობის პირველსა შაბათსა წმიდათა მარხვათასა. ქორონიკონს ტკგ“ (1635 წ.).

თ) წმ. პირველ-მოწამის ქალწულისა თეკლას მონასტერი აღუშენებია ჯვარის-მამის არხიმანდრიტს ქრისტეფორე ზედგინიძეს და იმის მამეულთ ნათესავთა.

ი) მონასტერი წმ. გიორგისა ურიათ უბანში დადიანთაგან აღშენებულია და „მოსახსენებელი მათი მუნვე არს.“

კ) მონასტერი საუფლოს მირქმისა დედათ მონატერი აღუშენებიათ რაჭის ერისთავთა.

ლ) წმ. დიდისა მოწამისა დიმიტრი თესალონიკელის მონასტერი აღუშენებიათ ქსნის ერისთავს შალვას და სხ.

მ) მონასტერი დედათი წმ. დიდისა ქალწულ-მოწამისა ეკატერინასი ფანასკრეტელის ციცშვილის ამილბარისა და მაჩაბელთაგან არის აღშენებული. ტიმოთეს მისვლის დროს (მე XVIII საუკ.) ამ მონასტერში უნახავს იღუმენია ანჩაბაძის ასული, ორი მოლოზანი კახელნი, აგრეთვე იმერელნი და „ყოველნივე მას მონასტერსა შინა მყოფნი ქართველნი.“

ნ) ბეთლემს არიან სამწირველონი ქართველთანი.

ჲ) ქალაქ იერისსოს (საბერძნეთში) ძველის ეკლესიის მარმარიროს ქვაზედ აწერია ქართულად: „წელსა... ღვთივ-გვირგვინოსანსა მეფობასა მიხეილ პალეოლოღოსისა... აღიშენა ქართველთაგან.“ აქვე ერთ დაძველებულ მაცხოვრის ხატზე პ. იოსელიანს წაუკითხავს: „ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი წილკნელ ეპისკოპოსი დავით, რომელმან მოვაწიე აქა ქორონიკონს კდ.“ (1336 წ.) 1768-1778 წწ. აქ მჯდარა ქართველი ეპისკოპოსი ბაბრიელ ღვანკითელი, იმერელი *).

ო) ათონის მონასტერ-ლავრა, საცა ითარგმანა სამღვთო წერილი, როგორც უკვე მოვიხსენიეთ.

ჴ ქვე მოვიყვანთ შემდეგ ცნობებს:

ზემორე მოხსენებული პროხორეს ლუსკუმა ასვენია ჯვარის მონასტერში და თვით პროხორე დახატულია მის კედელზე. აქვე ხატიან: მირიან, ვახტანგ ბორგ-ასლანი, ბაგრატ III, კათოლიკოსი აფხაზეთისა მაქსიმე, ტბილისის მიტროპოლიტი ილისე, მანგლელ არხიეპისკოპოსი თეოდორე, ბედიელი, ჯვარის მამა ნიკიფორე, მარიამ ქართლის დედოფალი, დადიანი ლეონ თვისის მეუღლით, პაატა და ქაიხოსრო წულუკიძენი.

ჴ ქვე ცხოვრებულან წმიდანი და გამოჩენილნი პირნი: მღვდელ-მოწამე მოსე ქართველი; მღვდელ-მოწამე მარი ქართველი, ღირსი მამა იოანე ჭირჭიმელი, პეტრიწად წოდებული. ამას კახეთში, ქალაქ ბრემში ჰქონდა სკოლა და ასწავებდა მოწაფეთა: ფილოსოფიასა, ღვთის-მეტყველებასა, ელინურსა ენასა, ასურულსა, არაბულსა; აქვე უტხოვრიათ მრავ. სხვათა მოღვაწეთა.

ჩამებულან მუნ:

20 ივლისსა სალომე, რომელიც მიუღებლობისათვის მაჰმადიანობისა შეუპყრიათ სარაცინთა, ცეცხლითა და მახვილითა უტანჯავსთ და მოუკლავსთ.

19 ოკტომბერს ნიკოლაოზ დვალი, რომელიც თურქთა დასწვეს ცეცხლითა.

23 ივლისსა მღვდელ-მოწამე ლუკა აბაშიძე, რომელსაც მრავალი წვალების შემდეგ წარჰკვეთეს თავი აფთითა.

ჩატონიშვილი თეიმურაზი თავის საქართველოს ისტორიაში (გვ. 294) ჯვარის მონასტერზე მოგვითხრობს შემდეგს: „არიან მრავალნი წიგნნი ქართულნი, თარგმნილნი ბერძნულით, ასურულით და არაბულით ჩვენთა ღირსთა მამათა ქართველთაგან, ჯვარის მონასტერსა შინა უმრავლესნი არიან და იცვიან მუნ ვიდრე მოდღეინდელად დღემდე და სხვათაცა მონასტერთა შინა ქართველთასა იერუსალიმს იპოებიან წიგნნი ქართულნი.“

ყველა ეს წიგნნი და ხსენებულნი მონასტერნი და ეკკლესიანი ეხლა უცხო ტომთ ხელშია. ქართ-

*) პ. იოსელიანი იმბობს (Род. кн. Чел. გვ. 20), რომ ქალაქ იერისსოს მიდამოში მე XI საუკუნეში ქართველთა მეფეთ დაასახლეს 42 კომლი ქართველნი მონასტერთა ჯოგების მოსავლელად, მიწის შესამუშავებლად და ბაღების მოსაშენებლად. აწ ეს ქართველნი სრულიად შეერთებულნი არიან ბერძნებთან და აღარ გაირჩევიან მათგან.

ველით მოღვაწეთა ეს მონასტრები ოსმალთა დევნისაგამო სრულიად დასტოვეს. დატოვება მათი მოჰხდა არა უწინარეს მე XVII საუკუნისა. 1523 წელში მოგზაურს ნემეცს ბაუმ-გარტენს სოლომონის ტაძარში, სხვათა შორის, უნახავს ქართველნი მოღვაწენიც, რომელთაც ხარისხით და პატივით სჭერიათ მეოთხე ადგილი შემდეგ რომაელთა, ბერძენთა და სირიელთა. ისივე ჰმოწმობს, რომ ქართველნი მე XVI საუკუნეშიაც ფლობდენ გოლგოთის მონასტერსა.

მოსე ჯანაშვილი.

სიტყვა.

თქმული თ. ი. აბაშიძისაგან გარდაცვალებული თ. გ. ლექავას დასაფლავების დროს 13 სეკდემბერს.

ადამიანისათვის დიდი ჯილდოა, როდესაც ის დაიმსახურებს ამ სოფლიერათ თავის საზოგადოების და ამხანაგობის სიყვარულს და პატივის-ცემას. ამ დამსახურების მოპოებისთვის უნდა მშვიდი, კეთილი და პატიოსანი ხასიათი.

ეს ზნეობითი ღირსებაები, სიბავშიდანვე არ მოუშორებია განსვენებულს. როდესაც დაასრულა მან სწავლა და გამოვიდა საზოგადო ასპარეზედ, ეს კარგი და სანატრელი გრძნობები, სწავლისაგან განძლიერებულნი, მან მოახმარა დღემდის მამულის სამსახურს.

განსვენებულო თეიმურაზ, ყოველი კეთილი საქმის თანამგრძნობელო! შენ იყავი ღარიბების შემწე შეძლების-და-გვარათ, შენ თვითონ ღარიბი არ აკლდები მოსწავლე ყმაწვილებს შემწეობას და არ გშურდა მათთვის არაფერი; შენ იყავი ახალი თაობის და მოსწავლე ახალგაზდობის ერთგული და ბეჯითი ამხანაგი.

თუმცა არ ვიცით შენი ნაწერები ლიტერატურაში, მაგრამ ვინ უარ-ჰყოფს, რომ შენს ცოცხალს და ჭკვიანს სიტყვას ჰქონდა ყოველთვის ჯეროვანი გავლენა ჩვენს სალიტერატურო წრეებში.—ვის არ ახსოვს ჩვენი მიმზიდველი თეიმურაზი, თუ რა აღტაცებით უდგა გვერდშიდ ყოველ კარგ საქმის დამწყებს და იყო ნიადაგ მარჯვენა ხელი იმ ახალგაზდა და ხანში შესულ პირთა, რომელნიც ზრუნვენ ჩვენი ქვეყნის კეთილ-წარმატებისათვის.

ჩვენში დავკარგეთ, ძმაო, ერთი ერთგულთაგანი მამულის შვილი და სასარგებლო წევრი ჩვენის საზოგადოებისა. და აბა ვინ იტყვის, რომ შენისთანა კაცის დაკარგვა დიდათ საგრძნობელი არ იყოს. დიახ, დიდი საგრძნობელი და სატირალია! მაგრამ ვინ აღუდგა წინ სიკვდილს? არავინ. მხოლოდ ჩვენ ვტირით უდროვოთ შენს მოშორებას, განსვენებულო თეიმურაზ!. ვსტირით, ძმაო თეიმურაზ, წრფელის გულით და ცხარის ცრემლით. გლოვს შენს დაკარგვას შენი ამხანაგობა; სტირის შენს მოკლებას საზოგადოება; სტირის შენს დაკლებას ის წოდება, რომელსაც შენ ერთგულად ემსახურებოდი. აფასებს ის შენს ღვაწლს, რომელიც მას შენ გაუწიე შენი კეთილის სამსახურით; ის ევედრება დღეს ღმერთს, რათა მან მოგანიჭოს განსვენება იქ, სადაცა მართალნი განისვენებენ.

ჭეშმარიტად, ეს ცრემლები, ეს მწუხარება უნდა იყოს მანუგეშებელი გამწარებული მისი დედისა, რომელმაც აღუზარდა საზოგადოებას ამისთანა შვილი, მაგრამ დღეს გულშეწუხებული დედა ამავე საიმედო შვილს ისტუმრებს ამ ქვეყნიდამ.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩვენო ტკბილო მეგობარო, განსვენებულო თეიმურაზ!..

ჟურნალ-გაზეთთა მიმოხილვა.

რუსულ გაზეთს ,,კავკაზ''-ში ტბილისის ქალების ახალი ეპარხიალურის სასწავლებლის შენობის და ეკკლესიის კურთხევაზე ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ ამბავს:

16-ს სეკტემბერს, თერთმეტ საათზე დილით, მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა, თბილისის სამღვდელო პირთა მონაწილეობით, შეასრულა, მართლ-მადიდებელი ეკკლესიის ტიბიკონისა-მებრ, კურთხევა ახალი შენობისა და ეკკლესიისა თბილისის საქალო ეპარხიალურ სასწავლებელში. ამ კურთხევაზე დაესწრნენ: მისი ბრწყინვალება ნ. ა. დონდუკოვ-კორსაკოვისა, სამასწავლებლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, მ. ნ. პოლიაკოვი, დირექტორი მეორე კლასსიკური გიმნაზიისა ბ. ლილოვი და სხ... წირვის დროს მობრძანდა მთავარ-მართებელი კავკაზიის სამოქალაქო ნაწილისა გენერალ-ადიუტანტი თავადი ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვიცა. წესი კურთხევისა იქმნა შესრულებული განსაკუთრებული ცერემონიით მისს მაღალ ყოვლად

უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის პავლესაგან. შესანიშნავმა ჩვენმა მქადაგებელმა დ. მწყემსთ-მთავარმა, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც, მლოცველებს უძღვნა მშვენიერი ორატორული სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა ეკკლესიის კურთხევის გათავების დროს. მეუფემ თავის სიტყვაში მიულოცა მოსწავლე ქალებს მშვენიერად მოწყობილ ახალ შენობაში გადასვლა და ახალი ეკკლესიის კურთხევა, რომელიც ეკურთხა ღვთის-მშობლის ტაძრად მიყვანების სახელზე.

ეკკლესიის კურთხევის შემდეგ იყო წარმოთქმული მრავალ-ყამიერობითი მოხსენება პირველად ხელმწიფე იმპერატორისა და იმპერატრიცასი, დიდი მთავრისა ოლღა თეოდორეს ასულისა, როგორც იმ სასწავლებლის მზრუნველისა და მფარველისა, ხოლო შემდეგ—უწმიდესი და უმართებულესის სინოდისა, და იმის წევრებისა: ნოვგოროდის და პეტერბურგის მიტროპოლიტის ისიდორესი, რომელმაც დასდვა დასაწყისი ქალების სწავლისა საქართველოში, მოსკოვის და კოლომენის მიტროპოლიტის იოანნიკესი, რომელმაც დააარსა ეს ქალების სასწავლებელი და დღემდის ბლომად სწირავს ფულს ამ სასწავლებლის სასარგებლოდ და, ბოლოს, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის პავლესი საქართველოს ექსარხოსისა.

პირვის დასრულების შემდეგ ახალ ნაკურთხ ეკკლესიაში მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ექსარხოსი საქართველოისა, არხიეპისკოპოსი პავლე, მათი ბრწყინვალება დონდუკოვ-კორსაკოვი მეუღლითურთ, მწირველი სამღვდელოება, სამასწავლებლო კავკასიის ოლქის მზრუნველი და სხვანი მრავალნი წავიდნენ სასწავლებლის უფროს ის ნ. ნ. ტროფიმოვის ოთახებისაკენ და შემდეგ მან, ესე იგი, სასწავლებლის უფროსმა ქალმა დაარონინა სტუმრები და დაათვალიერებინა მათ ყველა ოთახები სასწავლებლისა. მათი ბრწყინვალებანი ძლიერ კმაყოფილნი დარჩნენ ყველა ოთახებით და სასიამოვნო შთაბეჭდილება გამოიტანეს ამ შენობის დახედვისაგან.

უემდეგ გამართული იყო სადილი, რომელზედაც დაესწრო მთავარ-მართებელი მეუღლითურთ. სადილი უხვი იყო მრავალი საქმლებით და ძლიერ სიამოვნებით მიდიოდა, რადგან მასპინძელი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი, არხიეპისკოპოსი პავლე ყველას დიდის სიამოვნებით და სიყვარულობით მეგება. ბევრი სადღეგრძელოები წარმოითქვა. პირველად, ჩვეულებისა-მებრ, წარმოთქმულ იყო სადღეგრძელო მისი იმპერატორებითი უდიდებულებისა და იმპერატრიცასი, მემკვიდრის და დიდი მთავრისა ოლღა თეოდორეს ასულისა. შემდეგ დაილია სადღეგრძელოები მათ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობათა მიტროპოლიტის ისიდორეს და იოანნიკესი. ამის შემდეგ მისმა ბრწყინვალებამ დონდუკოვ-კორსაკოვმა მიირთვა სადღეგრძელო მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის პავლესი. საქართველოს ექსარხოსმა, ამის სამაგიეროდ, მიირთვა სადღეგრძელო მათ ბრწყინვალებათა. სხვა სადღეგრძელოები იყვნენ წარმოთქმული სასწავლებლის წარმატებისათვის, სამასწავლებლო მზრუნველისა, საქართველოს სამღვდელოების სადღეგრძელოდ, სასწავლებლის კომიტეტის ინსპექტორის, საპატიო მზრუნველთა და სხვათა პირთათვისაც, რომელთაც დამოკიდებულება აქვსთ სასწავლებელთან. ბოლოს დალიეს სადღეგრძელო ბ. ფრიდრიხ ზეტცერისა, რომელმაც ამენებისათანავე მიჰყიდა საქალო სასწავლებელს ეს შენობა ძლიერ იაფ ფასად, ორმოცი ათას მანეთად. სამ საათზე სადილი გათავდა და მათი ბრწყინვალებანი წაბრძანდნენ შინ, ისურვეს რა ყოველი კეთილი ამ სასწავლებლისათვის.

სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

ნოემბრის 23-ს მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა არხიეპისკოპოსმა პავლემ აკურთხა ახლად აღშენებული თფილისის დიდუბის ეკკლესია. ნაწირვებს საქართველოს ექსარხოსი სამღვდელოებითა მიწვეულ იყო ამ ეკკლესიის მღვდლის მამა ბესარიონ ზედგინიძისაგან სადილზე.

***

ამას წინეთ ვაცნობეთ ჩვენ მკითხველებს, თუ როგორ იქცეოდნენ და როგორ უწესოთ მიჰყავდათ სანთლის ვაჭრობის საქმე ცხინვალელ სომხებს. ამის შესახებ საქართველოს ექსარხოს არხიეპისკოპოსს პავლეს მოუხდენია სასტიკი განკარგულება, რომ ამიერიდგან მოსპობილ იქმნეს უკანონოდ სანთლის ვაჭრობა სომეხთაგან მართლ-მადიდებელ ხალხში...

***

გიორგი ლიახველი ჩვენ გვთხოვს შემდეგი წერილის დაბეჭდვას:

16 მარიამობისთვეს სოფ. ოლტევის ბლაღოჩინმა მ. ფილიშვილმა სთხოვა თავის სამწყსო ოსებს, რომ იმისთანა ჩვეულებისათვის, როგორნიც არიან: ხარნაგა და ირადი თავი დეენებებიათ. მცხოვრებლებს თითქო მოეწონათ ეს რჩევა, მაგრამ მათ პასუხში იხატებოდა შემდეგი აზრი: „მარტო ჩვენ რომ გარდასწყვიტოთ ესა, სხვა მოძმე ოსები დაგვცინებენ, და თუ ამაზე მთელი მხარე დასთანხმდა, ჩვენ ყაბულნი ვართ“.

1865 წ. მთელმა პატარა-ლიახვზე მცხოვრებმა ოსებმა გარდასწყვიტეს მოესპოთ ზემოხსენებული ჩვეულებანი და აქვე შედგენილი განაჩენი გარდასცეს მაშინდელ ოლტევის ბლაღოჩინს (აწ ბორის მაზრის სოფ. ქარბის მღვდელს) ს. ქანდელაკს. „დროების“ ამ წლის № 52-ში ჩვენ ვსთხოვეთ გამოეცხადებინა მ. ქანდელაკს, თუ რა უყო მან ეს განაჩენი, მაგრამ მან პასუხი არ გაგვცა. ვსთხოვეთ მ. ქანდელაკს, ეხლა

შაინც გამოგვიცხადოს თუნდა „მწყემსის“ შემწეობითაც, თუ რა იქმნა ის განჩინება, ან სად და ვისთან იმყოფება?—ის ჩვენთვის ეხლა ძალიან საჭიროა.

***

ნოემბრის თვის 19-ს ქუთაისში მობრძანდა კავკაზიის მთავარ-მართებელი ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვი მეუღლით. 20-ს ქუთაისიდამ მათი ბრწყინვალებანი წაბრძანდნენ გელათის მონასტერში და დაათვალიერეს ამ მონასტრის ძველის-ძველი ნივთები. ბრძანდებოდნენ აგრეთვე მოწამეთის მონასტერში. მოწამეთის მონასტერში მათ დახვდათ, ამ მონასტრის წინამძღვარი, არხიმანდრიტი ბესარიონი, რომელმაც მიართვა ხატი წმიდათა მოწამეთა დავით და კონსტანტინესი და უთხრა მათ შემდეგი მოკლე სიტყვა:

„ჩვენ გვაქვს ბედნიერება მოგილოცოთ, თქვენო ბრწყინვალეებაო, მშვიდობითი მოგზაურობა. აღტაცებული ვარ სულიერი ნუგეშითა, როგორც თქვენის პირის-პირი ხილვისა გამო, ისე თქვენი ამ მონასტერში მობრძანებითა. სჩანს, რომ თქვენ მოგიყვანათ აქ იმ სასოებამ, რომელიც გაქვსთ ღმერთზე და მის წმიდანებზე. მაკურთხოს თქვენ ღმერთმან, მეოხ და შემწე გეყოსთ თქვენ თქვენი დიდი და მძიმე თანამდებობის აღსრულებაში წმიდანი მოწამენი არგვეთის მთავარნი დავით და კონსტანტინე, რომელთა უხრწნელნი ნაწილნი აქ განისვენებენ. მეოხ გეყვნენ თქვენ ღვთის წინაშე და შემწე იყოს თქვენი მათის მეოხებით ღმერთი, რათა კეთილად მართოთ და განაგოთ მხარე, რომელიც თქვენ მოგენიჭათ სამართავად ღვთის განგებით. მიიღეთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, ხატი ამა წმიდათა მოწამეთა, არგვეთის მთავართა, რომელთაც სარწმუნოებისათვის და მამულისათვის თავისი სიცოცხლე დასდვეს. ვიმედოვნებთ ამასთან ძმებითურთ, რომ სავანე ესე არ მოაკლდება თქვენი ბრწყინვალეების მფარველობას.“

***

როგორც იწერებიან რუსულ გაზეთებში, ყველა ეპარხიებში მღვდელ-მთავრებს მოუხდენიათ განკარგულება და ერთგულად შესდგომიან სამრევლო სკოლების დაარსებას. ხალხი სიხარულით მიეგებება ყველგან ამ ახალ მთავრობის განკარგულებას. ჩვენშიაც, იმედია, მალე მოხდება განკარგულება ამ საქმის შესახებ.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

მკვდარ-ცოცხალი.

(მოთხრობა გრაფი მ. ტოლსტოისა.)

რუსულიდგან.

(დასასრული).

პანაშვიდის შემდეგ—როდესაც ყველანი წავიდნენ, მე გავიგონე კეთილი სტეფანეს ტირილი, რომლის ცრემლებიც წვიმასავით ცვიოდნენ ჩემს პირის სახეზე: „ვის დაგვიტოვე ჩემო მტრედო, მოთქვამდა მოხუცი, ჩვენ რაღა გვეშველება უთქვენოთ. გევედრებოდი ყოველთვის, რომ გაფრთხილებოდი, მაგრამ შენ არც კი გაიგონებდი ოდესმე, დაგღუპეს შენმა მეგობრებმა ღვინით და ყოველ გვარ გარყვნილობით და ახლა იმათ შენი არაფერი ჯავრიც არ აქვსთ. მხოლოთ ჩვენ—შენი მოსამსახურენი დაგტირით თავზე.“ ერთად სტეფანესთან სტიროდნენ ჩემი გლეხებიც ია—ის გუბერნიისანი, რომელნიც პეტერბურგში ბილეთებით სცხოვრებდნენ. იმათ გულის წმინდით უყვარდი, რადგან არ ვაიწროებდი მათ მდგომარეობას და არ უმატებდი გარდასახადს. სინდისით ვამბობ, რომ ამას ვშვრებოდი დაუდევრობით. ფულები სამყოფი მქონდა არამც თუ რაიმე ჩემ საჭიროებისათვის, არამედ ყოველ გვარ სისაძაგლის შესრულებისათვის, რასაც კი ვისურვებდი

ჰო, ამ გვარათ სად ვიპოვე გულწრფელი სიყვარული: უბრალო ხალხის—ყმების გულში! რასაკვირველია ეს გრძნობაც არ იყო უანგარო, მაგრამ იგი იყო მიუდგომელი მაინც.

ჩადგა გრძელი და გაუთენებელი ღამე. მე დაუგდე ყური დავითნის კითხვას, რომელიც ჩემთვის სრულიად უცნობი იყო. წინეთ არასოდეს ეს ღვთაებრივი წიგნი არ გადამიშლია.

შენდამი უფალო ხმა ვყო, ღმერთო ჩემო, ნუ დასდუმნები ჩემგან, ნუ სადამე დასდუმნე ჩემგან დ ვემსგავსო მათ, რომელნი შთავლიან მღვიმესა. ისმინე უფალო ხმა ვედრებისა ჩემისა, ვედრებასა ჩემსა შენდამი აღპყრობასა ხელთა ჩემთასა ტაძრისა შენისა მიმართ წმიდისა. ნუ მიმზიდავ მე ცოდვილთა თანა დ მოქმედ თანა სიცრუისასა ნუ თანა წარმწყმედ მე, რომელნი იტყვიან მშვიდობასა მოყვსისასა მათისა თანა, ხოლო უკეთურებასა გულთა

შინა მათთა... უფალი შემწე ჩემდა და მფარველი ჩემდა მას კმენიდა გული ჩემი ჲ შეწევნულ იქმნა ჲ მხიარულ იქმნეს ხორცნი ჩემნი ჲ მე ნებითა ჩემითა ადუარო მას. (ფს. ჯ. ა—ზ).

Oფალო ნუ გულის წყრომითა შენითა მამხილებ მე, ნურცა რისხვითა შენითა მასწავლი მე... (ფს. ლ. ა—გ).

Ირმათ მომხვდა გულში დავითნის სიტყვები. გულში ვიმეორებდი ამ სიტყვებს და მხურვალეთ ვლოცვილობდი. მთელი წასრული ცხოვრება წარმომიდგა თვალ-წინ, როგორც გადაშლილი ტილო, დაფარული სხვა-და-სხვა უწმინდურებით. რაღაც უცნობი წმიდა მიზიდებდა თავისკენ. მე მივეცი ჩემ თავს აღთქმა შენანებისა და გასწორებისა, აღსთქმა დავსდე, რომ დანარჩენი ცხოვრება შემეწირა ღვთის მსახურებისათვის, თუმცა ეხლა შემიწყალებს და დამიფარავს ამ განსაცდელისაგან.

�ა იქნება, თუ გადაწყვეტილია სიცოცხლისკენ გამოუბრუნებლობა? რა იქნება, რომ ეს ცოცხალ მკვდრობა არ გათავდეს და ცოცხალ-მკვდარი დამარხონ მიწაში? ახლა არ შემიძლია უველაფერის გამოთქმა, რასაც მე ვგრძნობდი ამ საშინელ ღამეში. მხოლოთ მოგახსენებთ, რომ მეორე დღეს სტეფანემ შენიშნა ჩემს თავზე ახალგაზდა ხუჭუჭ თმაში მთელი მუჭი გაჭაღარავებული თმა. ამის შემდეგ, როდესაც წარმოვიდგენდი ძილში იმ ღამეს, რომელიც კუბოში გავატარე, წამოვარდებოდი ხოლმე ზეზე, როგორც გიჟი შემაძრეწენებელის ფრიალით და ცივი ოფლით დაფარული. დადგა დილა და სულიერი ტანჯვა კიდევ უფრო გაძლიერდა. მე უნდა მომესმინა ჩემი სასიკვდილო განჩინება. ჩემს ახლოს ამბობდნენ: ,,დღეს სალამოს გავასვენოთ და ხვალ კი დავასაფლავოთ ნევის მონასტერში!'' დილის — ზანაშვიდზე, ვიდამაც შენიშნა ოფლის ცვარი ჩემს ზირის სახეზე და მაშინვე ექიმს აჩვენა. არა, სთქვა ექიმმა, ეს ცივი ორთქლი არის ოთახის სიმხურვალისა. მომკიდა ხელი მაჯაში და სთქვა: ,,მაჯა ადარ უცემს, ეჭვი არ არის, რომ ეს მკვდარია!''

Ოამოუთქმელი ტანჯვაა — მკვდრათ ითვლებოდე, ელოდებოდე კუბოს თავს დახურვას და დაჭედვას და არ შეგეძლოს სიცოცხლის ნიშნების გამოჩენა, არც შეხედვით, არც ხმით და არც მოძრაობით. მე ვგრძნობდი, რომ ძალა ჩემი თან-და-თან სუსტდებოდა. ადარ არის იმედი! საშიშარმა თავ განწირულებამ და უიმედობამ შემიპყრო. მაგრამ სჩანდა, რომ ჩემი მფარველი ანგელოზი მიფარავდა. რაღაცა შინაგანი გრძნობა გულს მითქვამდა წამეგითხა ლოცვები იმ საღმრთო სიტყვებით, რომელიც მესმოდა კუბოში წოლის დროს.

,,Oმერთო ჩემო შემიწყალე, მაპატიე რადგან ვიღუპები... ტუდ ვარ, უწმინდური ჲ მრავალ ჲ დიდ არიან ცოდვანი ჩემნი, მაგრამ მოწყალება შენი განუზომელია. შემიწყალე მე ღმერთო! რამეთუ ძვალნი ჩემნი შეძრეწენებულ არიან. მომანიჭე მე დრო, რათა განვიწმინდო სინდისი ჲ გავასწორო უწინდური ჩემი ცხოვრება. შენი ვარ საუკუნოთ შემიწყალე მე''.

Ესმ ნაირათ ვლოცვილობდი გულ-წრფელათ დაბნედილი და შეწუხებული სიკვდილის მოლოდებით.

Ოავიარე კიდევ რამოდენიმე საათი ამ ტანჯვაში, მაგრამ მეტი ადარ მილოცნია გაცოცხლებაზე. მე ვსთხოვდი ღმერთს წყნარს სიკვდილს, რომ განვთავისუფლებულიყავი ამ გვარ საშიშარ ტანჯვებიდგან. თან-და-თან დამშვიდდა ჩემი სული ლოცვებით. ყველა ეს საოცრება სიკვდილის მოლანდებით მეჩვენებოდა მე ჩემ დასასჯელად ცუდი ცხოვრებისათვის. მე მთლათ მივემდვე ღმერთსა და ვსთხოვდი ცოდვების მოტევებას. ამ გვარ გრძნობაში ვიყავი სალამოს ზანაშვიდის დროს, როდესაც მგალობლები გალობდნენ ჩემზე:

,,Kატი ვარ უსაზღვროისა დიდებისა შენისა მეუფეო, დაღცა თუ მმოსიან მე წყლულებანი შეცოდებათანი შემიწყალე ქმნილი შენი, ჲ განმწმინდე მე სასიერებითა შენითა ჲ საწადელისა მის მამულისა მგვიდრობა გვალად მომანიჭე მე''.

Ზანაშვიდი გათავდა და ვილაცეებმა ამიღეს კუბოთი. ამ დროს როგორღაც შემამძრიეს და ჩემი გულიდგან უნებურათ ამოისმა ოხვრა. — ერთმა უთხრა მეორეს: მიცვალებულმა თითქო ამოიოხრა? არაო, უთხრა მეორემ, შენ ეგრე მოგეჩვენაო. ჩემი გული განთავისუფლდა რაღაცა შემაკვიწროებელ სენისაგან და მე ხმა მაღლა დავიყვირე. ყველა მოცვინდენ ჩემთან. ექიმმა უცებ გამიხსნა მუნდირი, დამადვა გულზე ხელი და განკვირებით სთქვა: ,,გული სცემს, სუნთქავს, ეს ცოცხალია! აი გასაკვირალი შემთხვევა!'' მაშინვე გადამიტანეს საწოლ ოთახში, გამხადეს, ჩამაწვინეს ქვეშსაგებში და დამიწყეს ტანზე სმა რაღაც ნაირ სპირტებისა. ჩქარა თვალებიც გამოვახილე და პირველად მაცხოვრის ხატი დავინახე, ის

ხატი, რომელიც (როგორც შემდეგში შევიტყვე) საწიგნობელზე ესვენა ჩემი კუბოს თავით. ცრემლის ნაკადულები ღელესავით გადმომდიოდნენ თვალებიდგან, მაგრამ მაინც ვერ ამჩატებდნენ ჩემ გულს. კრაოტის წინ იდგა სტეფანე და სტიროდა სიხარულით. ჩემთან იდგა ექიმი და მარიგებდა წუნარათ ვყოფილიყავი. მან ჩემი მდგომარეობა არ იცოდა. ექიმის შემწეობა ჩემთვის სრულიად საჭირო აღარ იყო.

ახალგაზდა ჩემი ძალა თან-და-თან ძლიერდებოდა, მხოლოთ ამით მადლობე ლივიყავ ექიმისა, რომ მან ჩემი თხოვნით აღარავინ შემოუშვა ჩემთან, რომ არ შევეწუხებინე ავათ-მყოფი.

სრულიად მარტო გავატარე რამოდენიმე დღენი. არ დამინახავს არც ერთი სხვა პირი. სასიხარულოთ და სულიერ საზრდოთ მქონდა დავითის საგალობლები. იქიდგან ვსწავლობდი ღმერთის ცნობას, მის სიყვარულს და მის სამსახურს. მრავალი ნაცნობები მეხვეოდნენ კარებზე, რომ შეეხედათ გაცოცხლებულ მკვდრისათვის.

ყოველ დღეს მოდიოდა ჩემი დანიშნული სასიმამრო. ის, სჩანდა, სცდილობდა რომ არ გაეშვა ხელიდგან სასარგებლო საქრმო თავის ქალისა; მაგრამ მე არავის არ ვღებულობდი.

პირველი საქმე ჩემი მორჩენის შემდეგ, იყო წმიდა საიდუმლო ზიარების მიღება მომზადებით. სულიერ ცხოვრებაში გამოცდილი მღვდელი მ. მ—ი იყო ჩემი მოძღვარი; იმან დამამკვიდრა ჩემს გარდაწყვეტილებაში, მიმეტოვებინა ყველაფერი, რაც კი ამ სოფელში მიიზიდავს კაცს და შევდგომოდი სულის საქმეს.

მაგრამ ჩქარა ვერ მოვრჩი ამ წუთის სოფლის საქმეებს. ყველაზე უწინ გავეჩქარე ჩემს საცოლოსთან და გამოუცხადე, რომ მე პატივი აღარ მაქვს მათ სიძეობისა და ლამაზი ქალის ქმრობისა.

შემდეგ გამოვედი სამსახურიდგან, განვათავისუფლე ია—ის გლეხები, გავყიდე ყველაფერი, რაც რომ მოძრავი გამაჩნდა და მივეცი კეთილი გზა აღებულ ფულებს. დანარჩენი მამულები გადავეცი კანონიერ მემკვიდრეთა. ამ გვარ შრომაში გავიდა მთელი წელიწადი. ბოლოს განვთავისუფლდი ამ ქვეყნიურ ზრუნველობისგან და შეუდექი წუნარი ცხოვრების საყუდლის ძებნას.

რამოდენიმე მონასტრებში ვყოფილვარ და ეხლა ვდგევარ იმ მონასტერში, სადაც ვასრულებ ჩემ ცხოვრებას. ჩემი ერთგული სტეფანე განვათავისუფლე და ვაძლიე იმდენი ფული, რამდენიც საჭირო იყო მის საცხოვრებლათ მოხუცებულობაში, მაგრამ არ გამომართვა და თვალ-ცრემლიანმა მთხოვა, რომ არ გამეშვა. იმას უნდოდა ჩემთან მომკვდარიყო; მართლაც აქ გაატარა მთელი თავის სიცოცხლის დანარჩენი დღეები და მოკვდა ისე, რომ ბერობა არ მიუღია: „სად შემიძლია მე ცოდვილს ბერობა; ამბობდა იგი, ჩემზე ისიც საკმარისია, რომ ღირსი შევიქენი ღვთის მონებთან ცხოვრებისა!"

პატივცემულმა მ. გ—მ დაასრულა თავისი მოთხრობა შემდეგი სიტყვებით: „ჩემზე თქვენ ხედავთ ღვთის გასაკვირველ მოწყალებას; რომ გამოიტაცა ჩემი სული ბნელის, ცოდვილი ძილისაგან ყოვლად-სახიერმა და კაცთ-მოყვარე ღმერთმა, დამანახვა სიკვდილის მდგომარეობა და მომაკვდავს ამიხილნა თვალნი, რათა არ დამეძინა საუკუნო სიკვდილით.

თეოფ. ხუსკივაძე.

რედაქციის პასუხი.

ფშაველის მრევლის მღვდ. ლ. ბერიევს. მარტის პირველამდის ყველა №№-ბი „მწყემსი"-სა გავიდა და ამიტომ არ გეგზავნებათ თქვენც.

ბ. ზ. ჩოჩიშვილს. ოსეთის კამისიაზე ცნობებს დიდის სიამოვნებით დავბეჭდავთ.

ს. კარდანახი. მღ. ი. შ—ევს. თქვენ სიტყვაში ბევრი კარგი აზრია, მაგრამ ზოგიერთი მიზეზებისა გამო არ იბეჭდება.

ქუჩენბალის მინის ქარხანაში ბ. ღ. კ—ევს. თქვენი ლექსების ამოკითხვა ძლიერ საძნელო შეიქნა, რადგან ცუდის ხელით და ქარაგმებით არის დაწერილი. დასაბეჭდი ლექსიც და სტატიაც გასაგები ხელით უნდა იყოს დაწერილი.

განცხადებანი.

დაიბეჭდა და ისყიდება

თბილისის და ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიებში

ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა,

თქმულნი 1860—76 წლებში, ტომი პირველი, გამოცემა მესამე.

ფასი მანათ-ნახევარი

თფილისიდგან ამ წიგნის დაბარება შეიძლება ასე: Въ Тифлисъ, въ Закавказскую книжную торговлю Зах. Петр. Грикурова. ქუთაისიდგან—იმერეთის ეპისკოპოზის კანცელარიიდგან.

(10—2)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

საქართველოს მოკლე ისტორია

მოსე ჯანაშვილისა.

ფასი 60 კაპ.

ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან (Тифлисъ Михайлов. ул., № 42 Георгію Давидовичу Картвелову) დაიბარებს არა ნაკლებ 20 ეკზ., იმას წიგნი დაეთმობა 50 კაპეიკად.

ამ წიგნის დაბარება შეიძლება „მწყემსის" რედაქციიდამაც.

მოკლე დროში წიგნი გაიგზავნება საქათველოს უმთავრეს ქალაქებში.

საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიაში ისყიდება რუსულს ენაზე დაბეჭდილნი

სიტყვანი და შესხმანი

ჩაღალ ყოვლად უსამღვდელოესის არხიეპისკოპოსის კიშინიევისა და ხოტინსკისა, დღეს საქართველოს ეგზარხოსის პავლესი. სიტყვანი და მოძღვრებანი შესდგებიან სამი ტომისაგან. პირველი ტომი არის 545; მეორე ტომი—546 და მესამე ტომი—538 კაბადონი. ფასი სამივე ტომ. ოთხი მან. და ათი შ. წიგნების დაბარება შეიძლება ზემოხსენებულ კანცელარიიდამ და „მწყემსი"-ს რედაქციიდამაც.

Дозв. цензурою Кутаисъ, 30 Сентября 1884 г.

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.